Author: Nana Shavtvaladze; Translated by Natalia Sukiasyan Producing the CD by Archil Tsagareli; The actors: Kakha Gogidze, Tamuna Nikoladze, Tiko Katamashvili.

# მოუსმინეთ ქართულ დიალოგებს

# Listen Georgian Dialogues

LANGUAGE SCHOOL

LS

ენის სკოლა, თბილისი, საქართველო
LANGUAGE SCHOOL, TBILISI, GEORGIA

## CD


| | | |
|---|---|---|
| I | Greeting | Track 2 |
| II | Persons and Things | Track 4 |
| III | Introduction | Track 6 |
| IV | Travel in the City | Track 8 |
| V | In the Restaurant | Track 10 |
| VI | In my Office | Track 12 |
| VII | In the Bazaar | Track 14 |
| VIII | My Family | Track 16 |
| IX | House and Apartment | Track 18 |
| X | My Work Day | Track 20 |
| XI | In Tourism Agency | Track 22 |
| XII | Official Reception | Track 24 |
| XIII | In Vake Park | Track 26 |
| XIV | The Weather and Seasons | Track 28 |
| XV | Professions | Track 30 |
| XVI | Weekend | Track 32 |
| XVII | Human Body | Track 34 |
| XVIII | Shopping | Track 36 |
| XIX | Hobby | Track 38 |
| XX | Outside | Track 40 |
| XXI | In the Beauty Salon | Track 42 |
| XXII | Georgian Supra | Track 44 |
| XXIII | About Georgia | Track 46 |
| XXIV | Legend of Tbilisi | Track 48 |

— ვფიქრობ, სკოლის დირექტორ-
თან უნდა ილაპარაკოთ.
მობრძანდით ხვალ, მას ათი
საათიდან პირველამდე, აქვს
მიღება.
— ძალიან კარგი, მოვალთ
თერთმეტ საათზე.
— კი, ბატონო, მობრძანდით!
— ნახვამდის!
— კარგად ბრძანდებოდეთ!

- I think you need to talk to the Director of the school. Please, come tomorrow. He has time from 10 a.m. until 1 p.m.
- Very good. We will come at 11 o'clock.
- Yes, of course. You are welcome.
- Good- bye.
- Good- bye.

*------------------------- Track 22-------------------------*

## სავარჯიშო №27

მოუსმინეთ დიალოგს და შემდეგ წაიკითხეთ:

—გამარჯობათ!
—გამარჯობათ!
—თუ შეიძლება, ბაქოში მინდა გამგზავრება.
—როგორ, თვითმფრინავით თუ მატარებლით?
—როდის მიფრინავს თვითმფრინავი?
—კვირაში ორჯერ, სამშაბათსა და შაბათს.
—როდის გადის მატარებელი?
—მატარებელი პარასკევს საღამოს გადის.

## Exercise #27

First listen to the dialogue and then read it:

- Hello!
- Hello!
- I would like to go to Baku, please.
- Would you like to travel by plane or by railway?
- When does the plane leave?
- Two times a week. On Tuesday and on Saturday?
- And when does the train leave?
- The train leaves on Friday evening.

—როდის იქნება ბაქოში?
—მეორე დღეს, დილას ადრე.
—რა ღირს ბილეთი?
—44 ლარი.
—ძალიან კარგი. თუ შეიძლება, მომეცით შაბათის ბილეთი.
—კი, ბატონო, თქვენი ბილეთი ინებეთ.
—თქვენ ფული ინებეთ.
—გმადლობთ.
—არაფრის, კარგად ბრძანდებოდეთ!
—კარგად იყავით!

## სავარჯიშო №28

წაიკითხეთ დიალოგი და შემდეგ მოუსმინეთ:

— გამარჯობათ!
— დილა მშვიდობისა, დაბრძანდით, ერთი წუთით დამელოდეთ! ახლა გისმენთ.
— თუ შეიძლება, ბილეთი მინდა, ბაქოში მივდივარ.
— კი, ბატონო, თბილისიდან ბაქოში ორი მატარებელი მიდის: "სილქ როუდ ექსპრესი" და "რეგულარ ტრეინი".
— რომელ საათზე გადიან თბილისიდან?

- When does it arrive in Baku?
- The next day, early in the morning.
- How much is the ticket?
- 44 laris.
- Very good. Give me a ticket for Saturday,please.
- Yes, of course. Here is your ticket.
- Here is money.
- Thank you.
- Not at all. Good- bye.
- Good- bye!

## Exercise #28

First read the dialogue and then listen to it:

- Hello!
- Good morning! Have a seat, please. Just a moment. Now, I'm listening to you.
- I would like to buy a ticket, please. I'm going to Baku.
- Yes, of course. There are two trains from Tbilisi to Baku: " Silk Road Express" and " Regular Train".
- What time do they leave Tbilisi?

— "სილქ როუდ ექსპრესი" გადის საღამოს ცხრის ნახევარზე, "რეგულარ ტრეინი" კი — საღამოს შვიდის ნახევარზე.
— როდის იქნება ბაქოში?
— "სილქ როუდ ექსპრესი" ჩადის დილას, ცხრის ხუთ წუთზე; "რეგულარ ტრეინი" კი — ცხრის ოცდახუთ წუთზე.
— მატარებელში თოთხმეტი საათი ძალიან ბევრია. "სილქ როუდ ექსპრესი" ყოველდღე გადის თბილისიდან?
— ყოველდღე გადის "რეგულარ ტრეინი", "სილქროუდ ექსპრესი"—კვირაში სამჯერ.
— რა ღირს ბილეთი?
— "სილქ როუდ ექსპრესი" 168 ლარი; აქ არის რესტორანი, ფასში შედის საუზმე და სადილი. "რეგულარ ტრეინი" 44 ლარი ღირს და მატარებელში რესტორანი არ არის.
— 15 მაისს, შაბათს, დილით ადრე, ბაქოშიუნდა ვიყო. პარასკევს გადის "სილქ როუდ ექსპრესის" მატარებელი?
— დიახ.
— თუ შეიძლება, ერთი ბილეთი მომეცით.

- " Silk Road Express" leaves at 8.30 p.m., and " Regular Train" leaves at 6.30 p.m.
- When do they arrive in Baku?
- " Silk Road Express" arrives at 8.05 a.m., and " Regular Train"- at 8. 25 a.m.
- It's too long to stay in a train for 14 hours. Does " Silk Road Express" leave Tbilisi every day?
- " Regular Train" leaves every day and " Silk Road Express" three times a week.
- How much is the ticket?
- " Silk Road Express"- 168 lari, the price includes a breakfast and a dinner. There is a restaurant in the train. " Regular Train" is 44 lari and there is no restaurant.
- I have to be in Baku early in the morning on Saturday, 15th May. Does " Silk Road Express" train leave on Friday?
- Yes.
- I would like one ticket , please.

—აი, თქვენი ბილეთი ინებეთ.
—დიდი მადლობა!
—არაფრის!

- Here is your ticket.
- Thank you very much!
- Not at all!

***-------------------------- Track 24 --------------------------***

## სავარჯიშო №29

მოუსმინეთ დიალოგს:

— გამარჯობა, თათა!
— გამარჯობა, ნინო!
— იცი, მოსაწვევი მაქვს და სასტუმრო “მეტეხში” მივდივარ.
— რატომ, რას ზეიმობენ?
— ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს.
— როდის მიდიხარ?
— ოთხ ივლისს, შვიდი საათიდან ცხრა საათამდე.
— რა თქმა უნდა, მთავრობიდან ბევრი პარლამენტარი იქნება დაპატიჟებული, კიდევ დირექტორები სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მოადგილეები, ბევრი პროექტის დირექტორი და სხვა.
—საღამოზე ამერიკის ელჩი იქნება.
— ელჩი ლაპარაკობს ქართულად?
— კი, ლაპარაკობს და კიდევ სწავლობს.
—ძალიან კარგი.
—აბა, ნახვამდის!
—კარგად!

## Exercise #29

Listen to the dialogue:

- Hello, Tata!
- Hello, Nino!
- You know , I've got an invitation and I'm going to the hotel “ Metekhi”.
- Why? What do you celebrate?
- It's the Independance Day in America.
- When are you going?
- On the 4th July. From 7 p.m. to 9 p.m.
- There certainly will be many memebers of parliament invited from the government. And the directors of different companies, the deputees, the directors of many projects, as well, and others.
- The Ambassador of America will be at the party.
- Does the Ambassador speak Georgian?
- Yes, he does and he learns Georgian.
- Very good.
- OK, see you.
- Bye!